

გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ეტიმოლოგიური პარალელები: მცხეთა – მასხნთა /მაშკნთა – დიმაშკ

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია მცხეთის, დამასკოს (dimašq) და სირიის ერთ-ერთი ისტორიული დასახლებული პუნქტის, მასხითას (mašhītā < mašqītā) ეტიმოლოგიები. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგენილია კავშირი მათ შორის. კერძოდ, ქართლის დედაქალაქის სახელი მცხეთა (ისევე, როგორც სამცხე), ეტიმოლოგიურად მესხეთთან ასოცირდება, რომელიც, სავარაუდოდ, სათავეს მცირე აზიის მუშქების/მოსოხების უძველესი ტომიდან იღებს (მდრ. ბიბლიური მეშხი). ქართველთა და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა ნათესაობის საკითხს წინა აზიის უძველეს ხალხებთან არაერთი გამოჩენილი მეცნიერი იკვლევდა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. წერეთელი, კ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი და სხვები). აღნიშნული პრობლემის შესწავლისთვის საყურადღებოა ენობრივი მონაცემები, განსაკუთრებით, ძველი აღმოსავლეთის საკუთარი და გეოგრაფიული სახელები, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაარსის ლექსიკა.

სირიის საპორტო ქალაქ ლატაკიის მიდამოებში არსებული ისტორიული სოფელი მასხითა (mašhītā) არაბულად შინ-ით და კაფ-ით იწერება (mašqītā - مشقيتا). ამგვარად, წერილობითი ტრადიციის თანახმად, რომელიც ძველ, ისტორიულ ვითარებას ასახავს, სოფლის სახელია მაშკნთა. დასახლება ძველი ასურელების დაარსებული უნდა იყოს, ამიტომაც მისი სახელი არაარაბული წარმომავლობისაა. „მაშკნთა“-ს, „მასხნთა“-თი ჩანაცვლება, დროთა განმავლობაში, სასაუბრო არაბულის ზეგავლენით უნდა აიხსნას. ეტიმოლოგიურად მაშკნთა/მასხნთა შეიძლება უკავშირდებოდეს სემიტურ sqy – ძირს, რომლის მნიშვნელობაა „რწყვა“, „მორწყვა“, წყალუხვობა“. მუშქები (მუშკები) უძველეს დროში, კერძოდ, ძვ. წ.-ის მეორე ათასწლეულში, ზემო მესოპოტამიის წყალუხვ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. სავარაუდოა, რომ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ მათი მიგრაციული ტალღები მცირე აზიაში ქმნიდნენ დასახლებებს, ან ასიმილირდებოდნენ. ივ. ჯავახიშვილი ანტიკური ხანის წინარე პერიოდში მცირე აზიიდან ემიგრირებულებად განიხილავდა მუშქებისა და თობალების ქართველურ ტომთა წინაპრებს. უნდა აღინიშნოს, რომ შუამდინარეთიდან წამოსულმა მუშქებმა კაბადოკიაში შექმნეს სამეფო. დედაქალაქს დაარქვეს „მასახა“, რომელიც მათ მამამთავარს, „მოსოხს“ უკავშირდება (იოსებ ფლავიუსი).

სატომო სახელი „მუშქ“ (mušk) ფიქსირდება, ჩვენი აზრით, უძველესი ქალაქის, დამასკოს (არაბულად – დიმაშკ - dimašq) სახელწოდებაშიც. არამეულში გვაქვს dammašq, ძველ ებრაულში dammešeq. ყუმრანის წარწერებში ფიქსირდება darnešeq. დრ მეშეკ-ში პირველი წევრი – დარ (dār) საცხოვრის ნიშნავს, ხოლო მეორე წევრი – მეშეკ (mešeq), ჩვენი აზრით, მუშქების (მუშკების) ტომს. ამგვარად,

დიმაშკ (dimaşq - دمشق) შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მუშქების საცხოვრისი“. დამასკოს აღნიშნული ეტიმოლოგია პირველად არის შემოთავაზებული ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: *მცხეთა, მასხითა, დიმაშკ, მუშქები, ეტიმოლოგია.*

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება მცხეთის წარმომავლობის შესახებ (ჯავახიშვილი, 1950: 94, 254; ჯავახიშვილი, 1951: 450-451; ჯავახიშვილი, 1983: 34; ჯანაშია, 1952: 10, 97, 284-285, 304; წერეთელი, 1954: 111; Меликишвили, 1959: 112, 113, 115).

გავრცელებული თვალსაზრისით მცხეთის, როგორც ქალაქის გენეზისი მიმართებაშია უძველეს ქართულ ტომთან, მესხებთან. მესხეთის ისტორიული სახელიც – სამცხე, კავშირშია მცხეთასთან. მცხეთის კავშირი სამცხესთან აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს (ბატონიშვილი, 1973: 657). რაც შეეხება ეთნოსის სახელს (მესხები/მოსხები), მისი კავშირი აშკარაა მცირე აზიის უძველესი ტომების – მუშქების (მუშკების, მუსკების), მოსოხების, ბიბლიური მეშხის სახელებთან. მათგან მუშქები აქადურ და ასურულ წყაროებში ფიქსირდება, მეშხი – ბიბლიაში, მოსხოფ/მესხოი კი ბერძნულ ისტორიულ წყაროებში (წერეთელი, 1954: 111; ხაზარაძე, 1960: 75). ხსენებული სახელწოდებები, ქართული მესხების ჩათვლით, ეტიმოლოგიურად, ყველა საერთო წარმომავლობისაა და ვფიქრობ, სემიტური mšq-დან უნდა მომდინარეობდეს. ნიკო მარის აზრით სახელის ფუძის ამოსავალი უნდა იყოს mšq ფორმა (Mapp, 1912: 697). ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ, როცა შევხები მცხეთასთან და მესხეთთან დაკავშირებით „მასხითას“ და „დიმაშკს“.

ქართველთა და საერთოდ, კავკასიის ხალხთა ნათესაობის საკითხი წინა აზიის უძველეს ხალხებთან არაერთხელ გამხდარა მკვლევართა განსჯის საგანი. აღნიშნული პრობლემის შესწავლისთვის, არქეოლოგიურთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ მონაცემებს. ლინგვისტური მახასიათებლები, საკუთარი და გეოგრაფიული სახელები, ტოპონიმები ხშირად წარმოადგენს ფასდაუდებელ წყაროს ამა თუ იმ ეთნოსის გენეზისის, ისტორიის შესასწავლად.

ივ. ჯავახიშვილი უძველეს ისტორიულ ხანაში, კერძოდ, ანტიკური ხანის წინარე პერიოდში, კავკასიაში მცირე აზიიდან გადმოსახლებულად განიხილავდა მუშქებისა და თობალების ქართველურ ტომთა წინაპრებს (ჯავახიშვილი 1979: 38). მას მიაჩნდა, რომ მუშქები და თობალები თავდაპირველად მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, სადაც მათ სახელმწიფოებრიობა და მაღალი კულტურა ჰქონდათ. სამხრეთიდან კავკასიაში მათ მოიტანეს თავიანთი კულტურა, ტრადიციები, თუმცა დაკარგეს სახელმწიფოს ნიშნები და მოექცნენ საქართველოს გამგებლობაში. მათ ახალ საცხოვრისს ეწოდა სამცხე, რომელიც მოიცავდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთს.

დგება საკითხი, თუ კონკრეტულად სად ცხოვრობდნენ მუშქების წინაპრები მცირე აზიაში კავკასიაში გადმოსახლებამდე. როგორც ირკვევა, ძვ.წ.–ის XII საუკუნეში მუშქები ზემო მესოპოტამიაში ბინადრობდნენ. ისინი ჩრდილოეთისკენ უნდა დაძრულიყვნენ მას შემდეგ, რაც ქათმუნისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლაში დამარცხდნენ (ხაზარაძე, 1960: 81).

ისტორიული წყაროების მიხედვით, შუამდინარეთიდან ემიგრირებულმა მუშეებმა კაბადოკიაში შექმნეს სახელმწიფო. იოსებ ფლავიუსი ახსენებს „მოსოხენებს“ რომელთაც „კაბადოკიელებს“ უწოდებს. მისი ცნობით მოსოხენების მამამთავარს ერქვა „მოსოხი“, კაბადოკიელების დედაქალაქს კი „მასახა“ („მაზახა“), რაც „მოსოხს“ უკავშირდება (Меликишвили, 1959: 110).

მას შემდეგ, რაც ასურულ ლურსმულ წარწერებში დადასტურდა II-I ათასწლეულებში, მცირე აზიაში, მეშხეების და თუბალების ტომთა გაერთიანებების არსებობა, არაერთხელ გამოითქვა აზრი მათი ქართველთა წინაპრებად წარმოჩენის შესახებ (Lenormant, 1874: 5; ჯავახიშვილი, 1950: 60, 133; მელიქიშვილი, 1965: 19-20; მელიქიშვილი, 1970: 424).

ქართველთა წინაპრების მცირეაზიურ ტალღას შეურთდნენ აგრეთვე კარდუხები, რომლებიც ქსენოფონტეს მიხედვით, ზემო მესოპოტამიაში ძვ.წ.-ის V საუკუნეში ბინადრობდნენ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა დასაშვებს ხდის ქართ-იბერების წინაპართა ეთნიკური გაერთიანებების არსებობას შუამდინარეთში უძველეს პერიოდში და მათ მიგრაციებს როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთის, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებითაც.

ასურულ წყაროებში არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობაა მუშეების შესახებ. გიორგი მელიქიშვილი უთითებს, რომ ასურეთის ძლევამოსილი მმართველი, სარგონ II საკუთარ თავს მოიხსენიებდა მეფედ, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა თობალი მუშეების საზღვრებამდე. სარგონის წარწერებში ხშირად არის ნახსენები მუშეების მეფე, მითა. რაც შეეხება თობალს (თაბალს), იგი მდებარეობდა ურარტუსა და ფრიგიელებთან კავშირში მყოფი მუშეების სამეფოს შორის (Меликишвили, 1959: 73). მუშეების თავდაპირველი საცხოვრისი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შუამდინარეთის ჩრდილოეთში ივარაუდება. მუშეები არაერთხელ არიან ნახსენები ასირიულ წარწერებში ძვ. წ.-ის XII საუკუნიდან IX საუკუნამდე, კერძოდ ტიგლათპალასარ I-ის (1115-1077), ადადნირარი II-ის (911-890), თუკულთი-ნინურტი II-ის (889-884) და აშურნასირფალ II-ის (884-859) წარწერებში (Меликишвили, 1959: 106).

ისტორიული წყაროების მიხედვით, შემდგომ საუკუნეებში დაფიქსირებული მუშეების გადაადგილება სამხრეთ-აღმოსავლეთში განპირობებული იყო ასურეთის მეფის ტიგლათპალასარ I-ის საომარი მოქმედებებით შუამდინარეთის ჩრდილოეთში. შედეგად მუშეები მიმოიფანტნენ რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნაწილი დარჩა საცხოვრებლად ასურელების კონტროლქვეშ არსებულ არეალში (Меликишвили, 1959: 106).

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ეთნოსის სახელი მუშეი, მოსოხი, მესხი მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა შუამდინარეთიდან ამ ეთნიკური ჯგუფის დიდი ნაწილის გამოსვლის შემდეგ, რაც მიგრაციის ფართო მასშტაბით აიხსნება. ამ პერიოდში, შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ ნაწილში, ფიქსირდებიან მეშხეები – მესხები – მოსოხები. ისინი ეთნიკურად ქართველს – ქართველებს წარმოადგენდნენ. მესხებმა დიდი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართლის დედაქალაქის სახელი – მცხეთა ეტიმოლოგიურად მესხებთანაა დაკავშირებული. მცირე აზიის წარმართულ ღვთაებათა სახელებიც – არმაზი, ზადენი, მესხურ-ხეთური წარმომავლობისაა. ისიც ნიშანდობლივია, რომ

ჩრდილო კავკასიის ხალხები, კერძოდ დაღესტნელები, ტრადიციის თანახმად, თუმეხს, ქართველებს „მოსოქებად“ მოიხსენიებდნენ (Усуп, 1889: 20; ჯავახიშვილი, 1950: 10; ბურჭულაძე, შავხელიშვილი, 1993: 325).

რაც შეეხება არმაზს, იგი, როგორც ცნობილია, „არმასიდან“ უნდა მომდინარეობდეს, სადაც მთვარის ღვთაებას აღნიშნავს და განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი წარმართულ ღვთაებათა პანთეონში (Меликишвили, 1959: 112). ქართლის წინარექრისტიანული მეორე ღვთაება – „ზადენიც“ წარმომავლობით მცირე აზიასთან არის დაკავშირებული: sandon > zaden (Меликишвили, 1959: 111-112).

ამგვარად, სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილს, სადაც მესხების გავლენა გავრცელდა, უფრო ადრე სამცხე ეწოდა, ხოლო შემდეგ, ძვ. წ-ის III საუკუნეში ქართლის სატახტო ქალაქად მცხეთა გამოცხადდა. ამაში წვლილი მიუძღვით სამხრეთ საქართველოდან ემიგრირებულ მესხებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მოემართებოდნენ და მტკვრის ხეობის გავლით აღმოჩნდნენ ქართლის ქედებით ბუნებრივად დაცული ქალაქის, მცხეთის მიდამოებში.

მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ნივთიერი კულტურა მნიშვნელოვანი წყაროა კავკასიის ხალხთა ისტორიის გასაშუქებლად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვადასხვა პერიოდში გამოვლენილი მასალა დასაბამს იღებს ძვ. წ-ის IV-III ათასწლეულებიდან. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში, უძველეს პერიოდში მცხოვრებ ხალხთა ნივთიერი კულტურის „ჩრდილომესოპოტამიური“ მტრისები¹. იგულისხმება „მცირეაზიური“ ტიპის საცხოვრისები, მოხატულობები, თიხის ჭურჭლებზე დატანილი პიქტოგრამული ნიშნები, ქანდაკებები (ცხენების, შინაური ცხოველების, მამაკაცების), მიცვალებულთა დაკრძალვის წესები და სხვა (ჩუბინიშვილი, 1965: 7).

ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ მესხებსა და თობალებს მცირე აზიიდან გადმოსახლებულებად მიიჩნევდა. მეცნიერი ასახელებდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებს. აღნიშნული ტომების მიგრაციას იგი კიმერიელებისა და სკვითების მიერ მცირე აზიის, შუამდინარეთის ადგილობრივი მოსახლეობის დევნა-შევიწროებას უკავშირებდა (ჯავახიშვილი, 1979: 38).

ქართველთა ნათესაურ კავშირზე ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან – შუმერებთან, ხეთებთან, ხურიტებთან, ურარტებთან მიუთითებდა ს. ჯანაშია. მეცნიერი თვლიდა, რომ ადრეულ და შუაბრინჯაოს ხანაში ქართველი ტომების არა განსახლება, არამედ თანდათანობითი ადგილმონაცვლეობა ხდებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ჯანაშია, 1940: 9).

მტკვარ-არაქსის კულტურის სიღრმისეული შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იგი თავისი გავრცელებით უფრო ფართომასშტაბურია, ვიდრე კავკასია. იგი ფიქსირდება ურმიის და ვანის ტბების მიდამოებში და ჩნდება ანტიოქიაში, ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში. ის, რომ კულტურის ცალკეული ელემენტები საერთოა მტკვარ-არაქსისა და სირია-პალესტინის არქეოლოგიურ შრეებში, საგულისხმოა კულტურათა ურთიერთობებისა და ურთიერთგავლენების თვალსაზრისით.

¹ ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის ქართველურ ტომებთან ისტორიულ კავშირ-ურთიერთობებს მიუთითებდა ფრანგი ასირიოლოგი, ფრანსუა ლენორმანი (Lenormant, 1874: 128).

ივანე ჯავახიშვილმა არაერთი პარალელი გაავლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიულ-ეთნოლოგიურ მახასიათებლებს შორის, რამაც მეცნიერს საფუძველი მისცა ევარაუდა მესხებისა და თობალების ქართულ ტომთა მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

მცირე აზიაში, ძვ. წ. IV-III ათასწლეულებიდან მოყოლებული, ზემოთ დასახელებულის გარდა, სხვადასხვა ტომები სახლობდნენ, რომლებთანაც კავშირი ჰქონდათ ქართველებს. ეს ურთიერთობები აისახა ენობრივ და მატერიალურ მემკვიდრეობაში. მაგალითად, ხურიტების საცხოვრისი III ათასწლეულში მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ვანის ტბის დასავლეთიდან ჩრდილო მესოპოტამიამდე, ხოლო სუბარები აღნიშნულ პერიოდში მკვიდრობდნენ შუამდინარეთის სამხრეთში. საყურადღებოა ენობრივი პარალელები ხურიტულ და კავკასიურ ენათა შორის, რაც აშკარად მიუთითებს კულტურათა კავშირებსა და ურთიერთგავლენებს.

სპეციალისტების აზრით, აღმოსავლეთ კავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, მტკვრის შუადინების აუზში იკვეთება შუამდინარეთის, ჩრდილო სირიის, პალესტინისა და ასევე, ირანის, ჩრდილო მესოპოტამიის, აღმოსავლეთ ანატოლიის, ხმელთაშუაზღვის კულტურების ნივთმტკიცებები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თიხის ზესადგარზე არსებული მამაკაცის გამოსახულება, რომლის თმის ვარცხნილობა (ნაწნავის სახით) შემერულია, ადამიანის თიხის ქანდაკებები გრძელი წვერით და შუამდინარეთის დამახასიათებელი სახის ნაკვთებით, ზედა და ქვედა ტანის მესოპოტამური ტანსაცმლის მსგავსი სამოსი, ვერძის რქებდახვეული თავის გამოსახულებიანი სპილენძის საკიდი, ქუსლიანი ჭურჭელი, შუამდინარული მოხატული კერამიკისათვის დამახასიათებელი შტრიხები, მაგალითად, ირმის გამოხატვის თავისებური, მესოპოტამური მანერა და, აგრეთვე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ნამოსახლარზე გამოვლენილი დიდი მრგვალი კერა, რომელიც შუამდინარეთის კულტურის ელემენტად შეიძლება განვიხილოთ. ამასთანავე, მტკვრის ხეობაში და სომხეთში (შენგავითი) თიხის ნაკეთობებზე, კერამიკაზე ფიქსირდება მცირეაზიური – სირიული კულტურისათვის დამახასიათებელი ორნამენტები (ჩუბინიშვილი, 1965: 119-123).

განხილული მასალის საფუძველზე იკვეთება, რომ მტკვარ-არაქსისა და შუამდინარეთის, მცირე აზიის კულტურებს შეხება ჰქონდათ უძველეს პერიოდში. სავარაუდოდ, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ურთიერთობები გრძელდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და აისახა ენობრივ, კულტურულ და ისტორიულ ჩვენამდე მოღწეულ მასალებში.

ნიკო მარი მუსკების, მოსოხების, მესხების საცხოვრისის აღმნიშვნელ „მესხეთ“-ში გამოყოფდა რამდენიმე შემადგენელს: მას/მოს, -კ (-q) და -ეთ. q სომხურში მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია. მეცნიერის აზრით, ქართულში და მეგრულ-ჭანურში -q არა სუფიქსად, არამედ ფუძისეულად იქნა აღქმული. masq-ზე „ეთ“ სუფიქსის დართვით მივიღეთ „მესხეთი“(Mapp, 1912: 697; ხაზარაძე, 1993: 22).

ივანე ჯავახიშვილი -ხი დაბოლოებას „მესხ“-ში ეროვნების აღმნიშვნელ ქართულ სუფიქსად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი, 1950: 10). მეცნიერი ყურადღებას ამახვილებდა დაბადების ტექსტზე, სადაც „მუსხის“, „მუშკის“ შესატყვისია მეშექი –

მეშეხი/მოსოხი: „ეს არის ნოეს ძეთა მოდგმა – სემის, ქამისა და იაფეთისა. შეეძინათ მათ შვილები წარღვნის შემდეგ (დაბ. 10, 1). იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი (დაბ. 10, 2).

ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგის ზედა, ქუეყანასა მაგოგისსა, მთავრისა მის როს, მოსოქ და თუბელისა, და წინაწარმეტყულებდ მის ზედა (ეზეკიელი XXXVIII, 2. <https://bible.ge/Manuscript/eze/ezegws-f.htm>).

და შენ ძეო კაცისაო, წინაწარმეტყულებდ გოგის ზედა და არქუ: ამას იტყვს აღონაი უფალი: აჰა ესერა მე შენ ზედა, გოგ, მთავრისა როსისა, მოსოქ და თობელისა” (ეზეკიელი XXXIX, 1. <https://bible.ge/Manuscript/eze/ezegws-f.htm>).

აღნიშნულ საკითხს შეეხო აგრეთვე კონსტანტინე წერეთელი, რომელმაც მოიყვანა ებრაისტ ვ. გეზენიუსის ებრაულ ლექსიკონში მეშეხის განმარტება, რომლის თანახმად „მოსხები, მოსხური მთების ხალხი, სახელდობრ, იბერიელები, არმენიელები და კოლხები“ არიან (წერეთელი, 1954: 111). აქვე ხაზგასმულია, რომ „მეშეხი“ ეტიმოლოგიურად კავშირშია „მცხეთასთან“.

ნიკო მარის მიერ სიტყვაში masq (მოსხი, მოსოხი/მეშეხი, მესხი) -q-ს გამოყოფა მრავლობითი რიცხვის გამომხატველ სომხურ სუფიქსად ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილის მიერ -ხი დაბოლოების ეროვნების აღმნიშვნელ ქართულ სუფიქსად გააზრება აღნიშნულია მკვლევარების ნაშრომებში, სადაც მუშეების (მეშეხების, მოსოხების, მესხების) ისტორიაა განხილული.

ზემოთ აღვნიშნე, რომ „მცხეთის“ და „მესხეთის“ ეტიმოლოგიური კავშირი უსათუოა. რამდენიმე წლის წინ სირიაში მოვიძიე საინტერესო ენობრივი მასალა, რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქალაქ „მცხეთის“ სახელის წარმომავლობის შესახებ. ეს გახლავთ სირიაში არსებული ისტორიული სოფელი მასხნთჲ. იგი მდებარეობს საპორტო ქალაქ ლატაკიის ჩრდილოეთით, 23 კმ.-ის მანძილზე, სირიის საკურორტო ქალაქ ქასაბთან. ლატაკიიდან გზა ქასაბისკენ მთაგორიანია, გამორჩეულია ლამაზი ბუნებით. გზადაგზა საკურორტო დასახლებებია. ზაფხულში აქ სიგრილეა და მრავლადაა დამსვენებლები. მასხნთჲში არის ტბები, სიმწვანე, ზეთისხილის პლანტაციები.



მასხნთჲ ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა სირიის ზემოაღნიშნულ რეგიონში. იგი ძველი ასურელების დაარსებულია და მისი სახელიც არაარაბული წარმომავლობისაა. ნიშანდობლივია, რომ არაბულად იწერება იგი შნ-ით და კჳფ-ით – مشقيتا (mašqītā). შესაბამისად, წერილობითი ტრადიციით, ამ დასახლების სახელს არაბები დღემდე ე.წ. შიშინა სემიტური ენის გახმოვნებით, ანუ ჩრდილო-დასავლური სემიტურისათვის დამახასიათებელი კონსონანტური მახასიათებლით წერენ, რაც ტრანსკრიფციაში გვაძლევს „მაშკიტას“. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძველ არამეულ დამწერლობით ტრადიციასთან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არის შენარჩუნებული, მიუხედავად იმისა, რომ აქ ასურელები დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ და არამეულად არავინ ლაპარაკობს. ამჟამად სოფელი არაბებით არის დასახლებული, რომლებიც არაბული ენის სირიულ დიალექტზე მეტყველებენ. ვფიქრობ, არაბულის ზეგავლენით აიხსნება მათ წარმოთქმაში შნ-ის სნ-ით ჩანაცვლება, რაც ბუნებრივია ფონეტიკურად არაბული წარმოთქმისათვის. გუტურალური თანხმოვნის, კჳფ-ის რეალიზება ხ-თანხმოვნით ასევე დამახასიათებელია არაბული დიალექტური ტრადიციისათვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ხალხი“ < ḫalq, „ახმახი“ < aḫmaq და ა.შ. ამგვარად მივიღეთ „მასხნთა“ „მამხნთას“ ნაცვლად. ცოცხალმა არაბულმა დიალექტმა საკუთარი ენობრივი ნორმის მიხედვით შეცვალა სიტყვის წარმოთქმა. ასეთი მაგალითები არაერთია არაბულ დიალექტებში. „მაშკიტას“ „მასხნთა“-თი ჩანაცვლება სასაუბრო არაბულში უნდა მომხდარიყო ადგილობრივი არამეული მოსახლეობის არაბებით ჩანაცვლების შემდეგ, რასაც მრავალი საუკუნის წინ უნდა ჰქონოდა ადგილი და შეიძლება უკავშირდებოდეს ისლამურ დაპყრობებს ან მის წინარე პერიოდს.

mašqītā/mashītā ეტიმოლოგიურად შეძლება უკავშირდებოდეს სემიტურ ძირს sqy, რომლის მნიშვნელობაა „რწყვა“, „მორწყვა“. არაბულში ფიქსირდება სემანტიკურად წყალთან კავშირში მყოფი sqy (سقى) ძირიდან მომდინარე ზმნური ფორმები და სახელები:

(saqā) سقى (ا) – „რწყავდა“, „წყალს ასხურებდა“; IV (ʾasqā) أسقى – „მორწყა“; X (ʾistasqā) استسقى – „ლოცულობდა წვიმის მოსაყვანად“; (saḡīyyatun) ساقية – „ნაკადული“, „სარწყავი არხი“; „სარწყავი ბორბალი“ (Баранов, 1996: 363).

siqāyya (سِقَايَا) – „რწყვა“, „ირიგაცია“ (Wehr, 1976: 416). აღსანიშნავია, რომ saqā (سقى) ზმნის პერფექტივის მეოთხე თემის ʾasqā (أسقى) მიმღეობის ფორმაა musqin (مُسْقٍ), რაც წერილობით და ხმოვანებით ახლოა მუშქთან. შესაბამისად, სიტყვის mashītā თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს სარწყავი, ანუ წყლით მდიდარი, წყალუხვი სასოფლო-სამეურნეო მიწა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დროთა განმავლობაში mašqītā/mashītā ეთნოსის სახელად ჩამოყალიბდა და აღნიშნავდა წყალუხვ მიწაზე მცხოვრებ ხალხს. შესაბამისად, აქედურ წარწერებში დაფიქსირებული მუშკები (< mašq), ძველი ასურული წარწერებიდან მოყოლებული და შემდგომი პერიოდის წერილობით ძეგლების თანახმად, სათავეს წყლით მდიდარი შუამდინარეთიდან, მესოპოტამიიდან იღებენ, იქ უნდა ყოფილიყო მათი პირვანდელი საცხოვრისი.

შემდგომ საუკუნეებშიც შუამდინარეთიდან ემიგრირებული მუშკები საცხოვრებლად წყლით მდიდარი ადგილებისკენ ისწრაფოდნენ. წყლის გარეშე

მათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ ცხოვრება. ამის გამოძახილია ქართულში დადასტურებული სიტყვები: „წყალობა (ღმრთის საჩუქარი)“, „უწყალო“, „საწყალო“ და ა.შ.

მესხების წინაპრები – მოსოხები (მეშხეები, მოსხები) ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ძვ. წ.-ის VIII საუკუნიდან უნდა დამკვიდრებულიყვნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ.-ის V საუკუნის ბოლოდან მცხეთა უკვე ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრია, ამ უძველესი ქართული ტომის მიგრაციული ტალღა ქართლში V საუკუნემდეა სავარაუდებელი.

სირიის სხვადასხვა რეგიონში ფიქსირდება დასახლებული პუნქტები, სოფლები, რომელთა სახელები კავშირშია ძველი აღმოსავლეთის ეთნოსებთან. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ახლო აღმოსავლეთის ისტორიას, რომელიც უშუალოდ არის შეხებაში ძველი სირიის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან არსებულ სახელმწიფოებთან, ქალაქებთან.

ნიმანდობლივია, რომ ისტორიული სირიის ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონებში დღესაც არსებობს სოფლები, რომელთა სახელები დაკავშირებულია ამა თუ იმ ეთნოსთან. გვხვდება შემთხვევები, როცა დამორეზულ რეგიონებში ერთი და იგივე ეთნოსის სახელს ატარებს ესა თუ ის დასახლება. მაგალითად, დამასკოსა და ალეპოს შორის, ჰომსის მიმდებარე ტერიტორიაზე, კატინეს ტბასთან არის სოფელი ამჰურნადა (სირიულ დიალექტზე გამოითქმის, როგორც ამჰურნადე). ამავე სახელით ფიქსირდება აგრეთვე სოფელი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ალ-ჰასიქეს (الحسيك) რაიონში, სადაც ცხოვრობენ თანამედროვე ასურულ დიალექტზე მეტყველი ეროვნული უმცირესობები. ჰასიქეს რაიონში, საერთოდ, მრავლად არიან ასურელები. რეგიონი კარგად არის გამოკვლეული თანამედროვე არამეული დიალექტების მკვლევარების მიერ.

ასევე დავასახელებ სირიაში ჰომსთან არსებულ სოფელ ნაბატიდას (ნაბათიდა < النبطية), რომელიც ძველი სემიტური ტომის, ნაბატიანთა სახელს ატარებს. ნაბატეველები ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვ. წ.-ის დასაწყისში საქარავნო გზებს აკონტროლებდნენ. მათი სამეფოს დედაქალაქი იყო პეტრა, რომელიც ამჟამად იორდანიაშია და მსოფლიო ტურიზმის ცნობილ ცენტრს წარმოადგენს. ნაბატეველთა მმართველობის დროს მათი გავლენა ვრცელდებოდა მთელი ლევანტის ტერიტორიაზე. ჰიჯაზიდან დამასკომდე ისინი განაგებდნენ უდაბნოს მასივებს.

როდესაც VII საუკუნეში არაბებმა შუამდინარეთი დაიპყრეს, თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე მათ დახვდათ ადგილობრივი მოსახლეობა. ესენი იყვნენ ბაბილონელებისა და ასურელების შთამომავლები, სარწმუნოებით – იაკობიტი ქრისტიანები. არაბები მათ ნაბატეველებს ეძახდნენ და აღმსარებლობის გამო არ დევნიდნენ. ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები X საუკუნეშიც საკმაოდ მრავლად იყო ბაღდადსა და მის შემოგარენში (Миккульский, 1998: 51).

ასურელების, ნაბატეველების და ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხების მიგრაციებთან არის დაკავშირებული ისტორიული სირიის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რეგიონებში, აღმოსავლეთის ეთნოსების სახელთა მატარებელი დასახლებების არსებობა. ტოპონიმები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ქალაქებისა და სოფლების უძველესი მოსახლეობის შესახებ. ჩემი აზრით, ამ

კონტექსტში უნდა განვიხილოთ წინამდებარე სტატიაში განსახილველად წარმოდგენილი მასხნთა და დიმაშკ.

მასხნთა-ში (*mašḥīṭā*) ბოლოკიდურ -თა-სთან (-*tā*) დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: არამეულში მდებარეობითი სქესის მაწარმოებელი ფორმანტია საერთო სემიტური -*t* (-*at*). *Status constructus*-ში -*āt* გადადის გრძელ *ā*-ში. მაგალითად, *millā* - „სიტყვა“. ეგვიპტის არამეულში, მსგავსად ებრაულისა და ბიბლიურ-არამეულისა, მდებარეობითი სქესი გადმოცემულია *h*-ს სახით: *’šh* < *’ešša* - „ცეცხლი“. კ. წერეთელი უთითებს მდ. სქესის აღმნიშვნელ *t* ფორმანტთან რედუცირებულ *a* ხმოვანს, რომელიც ახლავს სახელის არტიკლიან ფორმას, ე.წ. *Status emphaticus*-ს: *āṭ-a* > *ʾāṭā* (წერეთელი, 1982: 53).

თანამედროვე არამეულს სპეციალისტები ყოფენ 3 ჯგუფად. ესენია დასავლური, ცენტრალური და აღმოსავლური არამეული დიალექტები².

თანამედროვე არამეულ დიალექტებში მდებარეობითი სქესის მაწარმოებელი ელემენტი ძირითადად არის სიტყვის ბოლოკიდური -*ta*: *moḏinta* - „ქალაქი“, *mālikṭā* - „დედოფალი“ (ურმია). შესაბამისად, *mašḥīṭā*-ში, -*ta* ჩვენი აზრით მდ. სქესის ფორმანტს უნდა წარმოადგენდეს.

ძველი მეშხების სატომო სახელი (*mušḥ* < *mašḥ*/*mask*), ჩემი აზრით, იკვეთება, აგრეთვე სირიის დედაქალაქის და საერთოდ, მთელი ახლო აღმოსავლეთის (ლევანტის) ერთერთი უმთავრესი ქალაქის, დამასკოს სახელწოდებაში.

არაბულად ქალაქის სახელწოდებაა დიმაშკ (*dimašq*) იგი არ არის არაბული წარმომავლობის. არამეულში გვაქვს *dammaāq*, ხოლო ძველ ებრაულში - *dammešeq*. ყუმრანის წარწერებში ფიქსირდება *darmeāeq* (דַרְמַעַיִק). ასეთ შედგენილ სიტყვაში (*dar mešeq*) პირველი წევრი - *dār* იკითხება, როგორც

² დასავლურს ჯგუფს მიეკუთვნება სირიაში, დამასკოდან 60 კმ.-ზე, ანტილიბანის მთებში არსებული ქრისტიანებით დასახლებული სოფლის, მა'ლ-ულას დიალექტი. ამ დიალექტზე მეტყველებენ აგრეთვე ორი სოფლის - ბაზ'ა-სა და ჯუბ-ადინის მცხოვრებლები, რომლებიც მუსლიმებს წარმოადგენენ.

ცენტრალური არამეული დიალექტები ძირითადად ტურაბდინის მთებშია გავრცელებული და ცნობილია, როგორც ტუროიოს, ან ტურაბდინის თანამედროვე არამეული. ტურაბდინელი არამეელები უმთავრესად თურქეთის ქურთისტანის მეზობლად ცხოვრობენ. ისინი ტრილინგუალები არიან - კარგად ფლობენ მშობლიური არამეულის გარდა ქურთულ და თურქულ ენებს. მათი მეტყველება შეიცავს მდიდარ მასალას ენობრივი კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით.

აღმოსავლურ არამეულ დიალექტზე მეტყველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათი კომპაქტური დასახლებები გვხვდება არაერთ ქვეყანაში. მათ შორის ერაყში, სირიაში, თურქეთსა და ირანში. ასევე, სამხრეთ კავკასიაში. ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში და აშშ-ში. ისინი ირანში ურმიის ტბის მიდამოებში არიან ლოკალიზებული, თურქეთში - ქურთისტანის მთებში და ვანის ვილაიეთში. რაც შეეხება სირიას, ამ ქვეყანაში მდ. დიდი ხაბურის ნაპირებზე, ჰასიქესა და რას-ელ-აინს შორის ბინადრობენ. ამ დიალექტზე მოსაუბრენი თავს „ასურელებს“ (*āsūrāy*) უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ არიან ძველი ასურელების მთამომავლები. უნდა აღინიშნოს, რომ ურმიული დიალექტი საფუძვლად დაედო თანამედროვე ასურულ სალიტერატურო ენას. ეს დიალექტი სათავეს ქრისტიანობის დასაბამიდან იღებს და ანტიოქიას უკავშირდება (Mar Ignatius Zakka I Ivas, 1983: 8, 12).

„საცხოვრისი“³. მოგვიანებით, არამეულშიც ფიქსირდება dārmšāq. რაც შეეხება ქალაქის სახელის მეორე შემადგენელს – mešeq, mšāq, ის, ჩვენი აზრით, შეიძლება უკავშირდებოდეს მუშქებს. ბიბლიის ტექსტში მუშქები მოხსენიებული არიან, როგორც მემშეები, მოსოხები, აქადურ ტექსტებში კი მათ აღსანიშნავად ფიქსირდება mšāx. არაბულში ქალაქის სახელად გვაქვს „დიმაშკ“ (dimašq). იგი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც მუშქების (მემშეების, მოსოხების, მოსოხების) საცხოვრისი. ვფიქრობ, ჩემს მიერ შემოთავაზებული დამასკოს (dimašq) ეტიმოლოგია სარწმუნო უნდა იყოს. რაც შეეხება თვითონ მუშქების სატომო სახელის (mušk/mašk) ეტიმოლოგიას, იგი, მასხითას (mashītā) მსგავსად, წყლიან, წყალუხვ ადგილს ნიშნავს. ვფიქრობ, დამასკოს ეტიმოლოგიის ამოსავალი უნდა იყოს არა „წყლიანი ადგილი“, არამედ მესხთა წინაპარი, შუამდინარეთის უძველესი ქართველური ტომის, მუშქების (მემშეების, მოსოხების, მოსხების) სატომო სახელი. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მომდინარეობს სემიტური ძირიდან sqy, რომლის მნიშვნელობაა „წყალი“, „მორწყვა“. ის, რომ მესოპოტამიის მკვიდრი ხალხის სახელის გენეზისში „წყალი“, „წყალუხვი ადგილი“, „მორწყმული მიწა“ ფიქსირდება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნიშანდობლივია.

დამასკო ხშირადაა ნახსენები ყუმრანის ტექსტებში⁴. იგი, ძველი აღმოსავლეთის ერთერთი უძველესი ქალაქი, თავისი წარსულითა და მისიით,

³ არაბულში დარ ას-სალამ - „მშვიდობის ქალაქი“ (dār as-salām – دار السلام) ნიშნავს ბაღდადს. იგივე დარ ას-სალამ არაბულში აგრეთვე აღნიშნავს სამოთხეს, ზეცას, ცის სასუფეველს (Баранов, 1996: 371). დარ, ამ შემთხვევაში, არის ადგილი, სადაც სუფევს კეთილდღეობა და ნეტარება.

dār საცხოვრისი, დასახლებული ადგილის მნიშვნელობით ფიქსირდება როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ არამეულში (Aramaic Lexicon and Concordance: atour.com/dictionary).

⁴ 1947 წელს მკვდარი ზღვის მიდამოებში, იერიქონიდან 13 კმ.-ის დაშორებით, იერუსალიმის აღმოსავლეთით 25 კმ.-ზე, ვადი კუმრანის უდაბნოს კლდოვან გამოქვაბულში აღმოჩნდა გრაგნილები, ძირითადად ებრაულ ენაზე.

კუმრანის პერგამენტები ჩვ. წ.-მდე 250 წლიდან ახალი წ.-ის 70 წლამდე თარიღდება და წინ უსწრებს (ერთის გარდა), ბიბლიურ ხელნაწერებს. ტექსტები ნაწერია ებრაულ და არამეულ ენებზე. ფიქსირდება ძველი აღთქმის კანონიკური და, ამასთანავე, აპოკრიფული ძეგლები. ამ ტექსტების მნიშვნელობა ფასდაუდებელია ბიბლიოლოგიის და საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისათვის.

დამასკოს დოკუმენტი წარმოადგენს უძველეს ებრაულ ტექსტს. მისი ფრაგმენტები ჯერ კიდევ 1897 წელს აღმოაჩინეს კაიროში, ბენ ეზრას სინაგოგაში. პირველად დოკუმენტი 1910 წელს გამოაქვეყნა თალმუდისტმა მკვლევარმა, სოლომონ შეხტერმა (Schechter, 1910). წლების შემდეგ დამასკოს დოკუმენტის ტექსტები აღმოჩენილ იქნა კუმრანის გამოქვაბულებში. მასში გადმოცემულია იუდეადან გამოსული ებრაელი თემის ცხოვრების წესები და ჩვეულებები. ეს თემი იუდეას უდაბნოში ბინადრობდა. ნაპოვნ ხელნაწერებში არის აგრეთვე თარგუმები არამეულ ენაზე და ებრაულ-არაბული ტექსტები. არაბულ ნაწილში ხშირია დიალექტიზმები, რაც მნიშვნელოვანია აგრეთვე არაბული ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

დამასკოს დოკუმენტი საყურადღებოა იმიტომ, რომ შეიცავს არაერთ ინფორმაციას ამ უძველესი ქალაქის შესახებ. ტექსტებში აღწერილია კუმრანის ებრაული სექტის განდევნა დამასკოში. ეს ცნობა წარმოადგენს წინასწარმეტყველ ამოსის წიგნის ინტერპრეტაციას, სადაც წერია: „ამისათვის მე განგასახლებთ თქვენ დამასკოში“ (5: 27).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დამასკო კუმრანის ტექსტების ამ ნაწილში გადმოცემულია, როგორც დარ მემშე קשרא (dār mešeq), რასაც მე ვთარგმნი, როგორც „მემშეების (ანუ მუშქების) საცხოვრისი“.

გამორჩეულია კაცობრიობის ისტორიაში. როგორც ცნობილია, დამასკო ანტილიბანის მთების ძირში, ოაზისში მდებარეობს, სადაც ნაყოფიერებით გამორჩეული წყალუხვი მასივი – ღუტა ესაზღვრება და ოდითგანვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, წყლით უზრუნველყოფს ქალაქის მცხოვრებლებს. დამასკო უძველესი დროიდან ასრულებდა დამაკავშირებელ ფუნქციას რეგიონში⁵. შუამდინარეთიდან საქარავნო გზა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისაკენ დამასკოს გავლით მიემართებოდა. ამ გზაზე უვლიათ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს მიგრაციულ ტალღებად, ძველი აღმოსავლეთის ძლევამოსილი ჯარების მოლაშქრეებს, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ ასურეთის, ბაბილონის ხალხები. მათ შორის შეიძლება ყოფილიყვნენ მესოპოტამიიდან დაძრული მეშეხები და თობალები, რომელთა ნაწილი დარჩა საცხოვრებლად იდეალურ, ზომიერი კლიმატით გამორჩეულ, წყალუხვ ოაზისში. ასე დაერქვა ამ–შამის სანახების დასახლებას დი–მამკ, ანუ „მუშქების საცხოვრისი“, რაც დღემდე

დამასკოს დოკუმენტის ტექსტებში გამოიყოფა ქადაგებები და წესდება. ქადაგებებში აღწერილია ბაბილონელების მიერ ჩ. წ.–მდე 586 წელს დანგრეული იერუსალიმის აღდგენა 390 წლის შემდეგ, ანუ ჩ. წ.–მდე 196 წელს, აგრეთვე გადმოცემულია ებრაული თემის ყოფაცხოვრების წესები.

დამასკოს დოკუმენტის მეორე ნაწილი საკანონმდებლო შინაარსისაა. აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორთოპრაქტიკას, ქცევის წესებს და ნორმებს, შაბათის დაცვას, რიტუალებს.

საერთოდ, დოკუმენტში იმდენად ხშირადაა ნახსენები დამასკო, რომ საბოლოოდ მას დამასკოს დოკუმენტი დაერქვა.

1922 წელს ლუის გინზბურგმა გამოსცა დამასკოს დოკუმენტი გერმანულ ენაზე სათაურით – „უცნობი ებრაული სექტა“. აღსანიშნავია, რომ კუმრანში აღმოჩენილი დამასკოს დოკუმენტის ფრაგმენტები ძირითადად იმეორებს კაიროს ტექსტს. სექტის იძულებითი მიგრაცია დამასკოში ორივე ტექსტში წარმოდგენილი (www.jewishvirtuallibrary.org; Werrett, 2007: 360).

⁵ დამასკოს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, არაბულ აღმოსავლეთში არსებობს არაერთი ვერსია. მათ შორისაა *damm šaqīq* (دم الشقيق), „ძმის (სისხლის ნათესავის, სახლულის) სისხლი“. ეტიმოლოგიის ეს ვერსია დაკავშირებულია კაენის მიერ დაღვრილ სისხლთან. ერთერთი ლეგენდის მიხედვით დამასკო დაარსა ბიბლიური სემის შთამომავალმა დიმაშიკმა (*Dimashiq*). ქალაქის დაარსებიდან მეხუთე წლისთავზე ქვეყანას მოევლინა მამამთავარი აბრაამი (*Ibrāhīm*). სხვა გადმოცემით დამასკოს დაარსება მიეწერება ჯაირუნ იბნ სა‘ადს, რომელიც, ასევე იყო სემის შთამომავალი და მან მის მიერ დაარსებულ ქალაქს უწოდა „ირამ სვეტებიანი“ (*Irām dāt al-‘amūd*). ირამის ძემა სახელებია: დიმაშიკ (*Dimashiq*), ფილასტინ (*Filastin*), აილია (*Ailiya* – იერუსალიმი), ჰიმს (*Hims* – ჰომსი. შდრ. – ემესა), ორდონ (*Al-Urdun*). თვითონ ირამი იყო სემის ძე და ნოე წინასწარმეტყველის შვილიშვილი. არსებობს სხვა ვერსიებიც. ერთერთი მიხედვით, დამასკო დააარსა აბრამ მამამთავრის მსახურმა, აზარმა (*Azar*) (*Le Strange*, 1890: 258). ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დამასკოს, სხვადასხვა დროს, განსხვავებულ სახელებს უსადაგებდნენ, მაგრამ მას სამუდამოდ შერჩა სახელად დამასკო (*Dimašq*), რომელიც იყო და შენარჩუნდა ქალაქის ოფიციალურ სახელად. შუა საუკუნეებში, ოაზისში გაშენებულ ქალაქს, ზოგიერთი ისტორიკოსი ალ–ხადრა–დ („სიმწვანე“) მოიხსენიებდა. 1300 წელს დიმაშიკი ასახელებს კიდევ ორ სახელს, რომლითაც დამასკო იყო ცნობილი. ესენია – ჯილიკი (*Jillik*) და ზათ ალ–ამუდ (*Dhāt al-‘Amūd*) – „სვეტებიანი“ (*Le Strange*, 1890: 265).

მუჰალაბის, ომაინთა მეჩეთში, ერთერთ სვეტზე უნახავს შემდეგი წარწერა: „დამაშიკიუსმა აღუშენა ეს ტაძარი უპირველესს ღმერთთა შორის – ზევსს“. მუჰალაბი იქვე განმ

შემორჩა, თუმცა მისი მნიშვნელობა საუკუნეთა განმავლობაში დაიკარგა და დავიწყებას მიეცა.

განხილული მასალები შესაძლებლობას იძლევა დამასკოს (დიმაშკ), მასხითას (მაშკითა) და მცხეთის ეტიმოლოგიები დავაკავშიროთ მცირე აზიის მუშკების სატომო სახელთან. თავის მხრივ, მუშკი/მუშქი (muşk), როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეიძლება მომდინარეობდეს სემიტური ძირიდან sqy. მუშკების თავდაპირველი საცხოვრისი და ამ ტომის მიგრაციების შემდგომი ლოკაციები წყლით უხვ და მდიდარ ადგილებს უკავშირდება.

დამასკო და მცხეთა რომ წყალუხვობითაა გამორჩეული, საყოველთაოდაა ცნობილი. ასევეა მასხნთაშ, სადაც ლამაზ ბუნებასთან ერთად, მიმდებარედ, სამი ტბა არის წარმოდგენილი.

ამგვარად, მცხეთის, დამასკოსა და სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში არსებული ისტორიული დასახლების, მასხნთაშ-ს ეტიმოლოგიებში იკვეთება ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის, მუშქების/მუშკების ტომობრივი სახელი. ქართული „მესხი“, ებრაული „მეშხი“, ბერძნული „მოსხოა“ („მოსოხი“, „მესხოა“), აქადური და ურარტული წყაროების „მუშქები“ (mušku, musku, muuski, muški), სამარიტანული მოსოხი (mošoh), სომხური მუშკი ფაქტობრივად წარმოადგენს ერთი და იგივე ტომობრივი სახელის a/e და u/o ხმოვნოვან ფონეტიკურ სახესხვაობებს.

მცხეთის, დამასკოს (დიმაშკ) და მასხითას (მაშკითა) საერთო ეტიმოლოგიური გენეზისი შუამდინარეთის, სირიისა და კავკასიის მკვიდრ ხალხთა მიგრაციების, კულტურათა შეხვედრებისა და თანაარსებობის გამომხატველია, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა და დღემდე ცოცხალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი, ვახუშტი. 1973. *ქართლის ცხოვრება. აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
2. ბურჭულაძე, გენადი, შავხელიშვილი, ბელა. 1993. „ქართველის“, „საქართველოს“ აღმნიშვნელ სიტყვათა თაობაზე ნახურ-დაღესტნურ ენებში.“ *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*: 322-329.
3. მელიქიშვილი, გიორგი. 1965. *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*. თბილისი: „მეცნიერება“.
4. მელიქიშვილი, გიორგი. 1970. „ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა.“ *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
5. ჩუბინიშვილი, ტარიელ. 1965. *მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
6. წერეთელი, გიორგი. 1941. *არმაზის ბილინგვა*. თბილისი.

7. წერეთელი, კონსტანტინე. 1954. „ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. XV, № 2: 111-118.
8. წერეთელი, კონსტანტინე. 1982. *არამეული ენა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
9. ხაზარაძე, ნ. 1960. „მუშეების ქვეყნის“ სახელწოდების აღდგენისათვის თუქულთი-ნინურთა II „ანალებში“. *ადმოსავლური კრებული*: 75-92.
10. ხაზარაძე, ნ. 1993. „მესხი“ ეთნიკური ტერმინის ისტორიისათვის.“ *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*: 21-42.
11. ჯავახიშვილი, ივანე. 1950. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი ადმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
12. ჯავახიშვილი, ივანე. 1951. „ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის.“ ქართველი ერის ისტორია I. მეოთხე გამოცემა. „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომი დასაბეჭდად შეამზადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო სიმ. ყაუხჩიშვილმა, 447-454. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. ჯავახიშვილი, ივანე. 1979. „ქართველთა პოლიტიკური თავგადასავლის მთავარი მომენტები I ს-მდე ქ. წ.“. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. ჯავახიშვილი, ივანე. 1983. „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII-XII ს.ქ.შ.“ თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
15. ჯანაშია, სიმონ. 1940. „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი ადმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე.“ *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, ტ. V-VI, 633-694. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.
16. ჯანაშია, სიმონ. 1952. „ურარტუ.“ *შრომები*, ტ. II, 1-13. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
17. Aramaic Lexicon and Concordance: atour.com/dictionary
18. Lenormant, Fr. 1874. *Les premiers civilisations Etudes d'histoire et d'antropologie*. V. I. Paris.
19. Le Strange, Guy. 1890. *Palestine under the Moslems: A Description of Syria and the Holy Land from A.D. 650 to 1500*. Translated from the Works of the Medieval Arab Geographers by Guy Le Strange. London: Published for the Committee of the Palestine Exploration Fund by Alexander P. Watt, 2, Paternoster Square.
20. Mar Ignatius Zakka I Iwas, 1983. "The Syrian Orthodox Church of Antioch at a Glance". *Studia Syriaca: Series published by Gregorios Yohanna Ibrahim*. Aleppo.
21. Schechter, Solomon. 1910. *Documents of Jewish Sectaries. 1. Fragments of a Zadokite work*. Cambridge University Press.

22. Wehr, Hans. 1976. *Arabic-English Dictionary*. The Hans Wehr Dictionary of Modern Written Arabic edited by J. M. Cowan. Ithaca New York: Spoken Language Services Inc.
23. Werrett, Jan. 2007. *Ritual Purity and the Dead Sea Scrolls*. Leiden-Boston: Brill.
24. Баранов, Х. К. 1996. *Арабско-русский словарь*. Москва: Русский язык.
25. Марр, Н.Я. 1912. «История термина «Абхаз». *Известия императорской Академии Наук*, VI, серия II.
26. Меликишвили, Г.А. 1959. *К истории древней Грузии*. Тбилиси: Издательство Академии наук Грузинской ССР.
27. Миккульский, Д.В. 1998. *Арабский Геродот*. Москва: «Алетейа».
28. Услар, П.К. 1889. *Этнография Кавказа. Языкознание, III. Аварский язык*. Тифлис: Издание Управления Кавказского учебного округа.
29. www.jewishvirtuallibrary.org